

2024



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორულ დასკვნასთან
ერთად

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	7
2. მომზადების საფუძვლები.....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. შეფასებები და დაშვებები	17
5. ფული და ფულადი სახსრები	17
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
7. გადახდილი ავანსი	18
8. მარაგები	18
9. ძირითადი საშუალებები	19
10. გუდვილი.....	20
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
12. სასესხო ვალდებულებები.....	20
13. ამონაგები	20
14. თვითღირებულება	20
15. სხვა შემოსავალი	21
16. სხვა ხარჯი.....	21
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვის ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბარაქა ჯგუფის და შვილობილი კომპანიების პარტნიორებს და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბარაქა ჯგუფი“-ს და შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ბარაქა ჯგუფი“-ს და შვილობილი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ის) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (შემდგომში IESBA კოდექსი) შესაბამისად, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილ მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ

ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფი-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, შპს ბარაქა ჯგუფის და შვილობილი კომპანიების მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „Fin.Exp.Corporation“-ის სახელით (რეგ.#SARAS-F-758026)

ირმა ჩხაიძე (რეგ.#SARAS-A-728904)

26 სექტემბერი 2025 წელი

ბათუმი, საქართველო



- სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებასა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მკს ბარაქა ჯგუფის და შვილობილი კომპანიების მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბათუმი, საქართველო




ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნები	2024	2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	674,847	1,069,165
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,175,771	697,273
გადახდილი ავანსი	7	1,621,346	3,625,206
მარაგები	8	3,875,912	3,439,500
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,347,876	8,831,144
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	8,890,017	8,574,062
არამატერიალური აქტივები		3,144	4,533
გუდვილი	10	197,863	230,840
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,091,023	8,809,434
სულ აქტივები		16,438,900	17,640,579
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	344,849	2,578,507
მიღებული ავანსი		37,946	188,067
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	12	1,318,411	2,381,136
საგადასახადო ვალდებულებები		469,647	579,938
დარიცხული ვალდებულებები		1,174	1,174
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		23,615	23,615
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,195,643	5,752,436
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	12	5,023,171	3,423,577
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,023,171	3,423,577
სულ ვალდებულებები		7,218,813	9,176,013
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
დაგროვილი მოგება/ (ზარალი)		9,219,987	8,464,466
სულ კაპიტალი		9,220,087	8,464,566
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,438,900	17,640,579

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცდა ბენეჯმენტის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: იმედა ზაქარაძე

მთ. ბუღალტერი: ლელა ლომთათიძე



სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	13	26,798,639	25,239,845
თვითღირებულება	14	(23,153,148)	(23,026,840)
სხვა შემოსავალი	15	1,976,303	35,593
სხვა ხარჯი	16	(1,823,234)	-
საერთო მოგება/ (ზარალი)		3,798,560	2,248,598
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები		(5,000)	(470)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,200,500)	(1,128,964)
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)		2,593,060	1,119,164
ფინანსური ხარჯი		(469,876)	(410,564)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/ (ზარალი)		(546,280)	252,326
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,787	5,188
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(266,758)	(59,678)
მოგება/ (ზარალი) დაბეგვრამდე		1,311,932	906,435
მოგების გადასახადის ხარჯი		(83,591)	-
წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)		1,228,341	906,435

დირექტორი: იმედა ზაქარაძე

მთ. ბუღალტერი: ლელა ლომთათიძე



Handwritten signature in blue ink.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საწესდბო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
31.12.2022	100	7,558,032	7,558,131
შენატანი კაპიტალში	-	-	-
წლის მოგება/ (ზარალი)	-	906,435	906,435
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-
31.12.2023	100	8,464,467	8,464,566
შენატანი კაპიტალში	-	-	-
წლის მოგება/ (ზარალი)	-	1,229,205	1,229,205
გამოცხადებული დივიდენდები	-	(473,684)	(473,684)
31.12.2024	100	9,219,987	9,220,087

დირექტორი: იმედა ზაქარაძე

მთ. ბუღალტერი: ლელა ლომთათიძე



ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	შენიშვნები	2024	2023
მომხმარებლისგან მიღებული თანხები		33,163,524	29,642,561
მომწოდებლისთვის გადახდილი თანხები		(25,657,845)	(19,109,110)
თანამშრომლებისათვის გადახდილი თანხები		(887,301)	(675,675)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი და მოსაკრებელი		(4,840,699)	(3,439,530)
საპენსიო სააგენტოში გადახდილი თანხები		(35,755)	(27,579)
მიღებული ავანსი		36,925	128,424
გადახდილი ავანსი		(1,216,880)	(3,149,674)
ბანკის მომსახურების საკომისიო		(62,849)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		499,120	3,369,416

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა		(81,694)	(86,122)
სხვა გრძელვადიანი ვალდებულების გადახდა		-	(1,319,217)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(81,694)	(1,405,339)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
აღებული სესხი		10,034,965	2,191,371
გადახდილი დივიდენდი		(450,000)	-
გადახდილი სესხი		(9,827,611)	(2,984,763)
გადახდილი პროცენტი		(469,876)	(410,564)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(712,521)	(1,203,956)

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა/ (შემცირება)	(295,095)	760,122
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	1,069,165	321,365
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(99,222)	(12,322)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	674,847	1,069,165

დირექტორი: იმედა ზაქარაძე

მთ. ბუღალტერი: ლელა ღომთათიძე



ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნები	2024	2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	674,847	1,069,165
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,175,771	697,273
გადახდილი ავანსი	7	1,621,346	3,625,206
მარაგები	8	3,875,912	3,439,500
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,347,876	8,831,144
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	8,890,017	8,574,062
არამატერიალური აქტივები		3,144	4,533
გუდვილი	10	197,863	230,840
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,091,023	8,809,434
სულ აქტივები		16,438,900	17,640,579
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	344,849	2,578,507
მიღებული ავანსი		37,946	188,067
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	12	1,318,411	2,381,136
საგადასახადო ვალდებულებები		469,647	579,938
დარიცხული ვალდებულებები		1,174	1,174
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება		23,615	23,615
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,195,643	5,752,436
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	12	5,023,171	3,423,577
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,023,171	3,423,577
სულ ვალდებულებები		7,218,813	9,176,013
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
დაგროვილი მოგება/ (ზარალი)		9,219,987	8,464,466
სულ კაპიტალი		9,220,087	8,464,566
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,438,900	17,640,579

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცდა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: იმედა ზაქარაძე

მთ. ბუღალტერი: ლელა ლომთათიძე

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	13	26,798,639	25,239,845
თვითღირებულება	14	(23,153,148)	(23,026,840)
სხვა შემოსავალი	15	1,976,303	35,593
სხვა ხარჯი	16	(1,823,234)	-
საერთო მოგება/ (ზარალი)		3,798,560	2,248,598
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები		(5,000)	(470)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,200,500)	(1,128,964)
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)		2,593,060	1,119,164
ფინანსური ხარჯი		(469,876)	(410,564)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/ (ზარალი)		(546,280)	252,326
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,787	5,188
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(266,758)	(59,678)
მოგება/ (ზარალი) დაბეგვრამდე		1,311,932	906,435
მოგების გადასახადის ხარჯი		(83,591)	-
წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)		1,228,341	906,435

დირექტორი: იმედა ზაქარაძე

მთ. ბუღალტერი: ლელა ლომთათიძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საწესდბო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
31.12.2022	100	7,558,032	7,558,131
შენატანი კაპიტალში	-	-	-
წლის მოგება/ (ზარალი)	-	906,435	906,435
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-
31.12.2023	100	8,464,467	8,464,566
შენატანი კაპიტალში	-	-	-
წლის მოგება/ (ზარალი)	-	1,229,205	1,229,205
გამოცხადებული დივიდენდები	-	(473,684)	(473,684)
31.12.2024	100	9,219,987	9,220,087

დირექტორი: იმედა ზაქარაძე

მთ. ბუღალტერი: ლელა ლომთათიძე

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	შენიშვნები	2024	2023
მომხმარებლისგან მიღებული თანხები		33,163,524	29,642,561
მომწოდებლისთვის გადახდილი თანხები		(25,657,845)	(19,109,110)
თანამშრომლებისათვის გადახდილი თანხები		(887,301)	(675,675)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი და მოსაკრებელი		(4,840,699)	(3,439,530)
საპენსიო სააგენტოში გადახდილი თანხები		(35,755)	(27,579)
მიღებული ავანსი		36,925	128,424
გადახდილი ავანსი		(1,216,880)	(3,149,674)
ბანკის მომსახურების საკომისიო		(62,849)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		499,120	3,369,416
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა		(81,694)	(86,122)
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების გადახდა		-	(1,319,217)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(81,694)	(1,405,339)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
აღებული სესხი		10,034,965	2,191,371
გადახდილი დივიდენდი		(450,000)	-
გადახდილი სესხი		(9,827,611)	(2,984,763)
გადახდილი პროცენტი		(469,876)	(410,564)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(712,521)	(1,203,956)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა/ (შემცირება)		(295,095)	760,122
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი		1,069,165	321,365
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(99,222)	(12,322)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი		674,847	1,069,165

დირექტორი: იმედა ზაქარაძე

მთ. ბუღალტერი: ლელა ლომთათიძე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024



1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ბარაქა ჯგუფი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც დაფუძნდა 2020 წლის 4 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანოს - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 445583887. კომპანია დღეს-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 04/08/2020.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პურის ფქვილის წარმოება და რეალიზაცია, ასევე საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით.

2021 წლის მარტიდან შპს ბარაქა ჯგუფმა შეიძინა 3 შვილობილი კომპანია.

ჯგუფი არის მეორე კატეგორიის საწარმოს.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

- შპს ბარაქა 2021 – 245541061 – 100% წილის ფლობა (III კატეგორია)
- შპს სამ-ბათ ჯორჯია - 445472916 – 100% წილის ფლობა (III კატეგორია)
- შპს ბარაქა სავაჭრო ცენტრი - 445609360 – 100% წილის ფლობა (IV კატეგორია)

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორებია:

1. იმედა ზაქარაძე, 61002012798

კომპანიის დამფუძნებლებია:

1. ბურჰან დინდარი, თურქეთი, 61091000128 – 100%

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ბათუმი, იური გაგარინის ქ., N 2.

2. მომზადების საფუძვლები

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მთლიანობაში მსს ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან.

- ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შპს ბარაქა ჯგუფი და შვილობილი კომპანიები ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დამკვეთების ადეკვატურობის შეფასებისას.

- უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხები

ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გატარებები და ნაშთები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად, წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

	31.12.2024	31.12.2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

- ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევა ანგარიშგების პერიოდის შემდეგ 2025 წლის იანვარში, საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS for SMEs (პატარა და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილი საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტის) მესამე გამოცემა. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევა 2027 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ანგარიშგების წლებისთვის, თუმცა მათი ადრეული დანერგვა ნებადართულია.

მესამე გამოცემით გათვალისწინებული ძირითადი ცვლილებები მოიცავს:

- შემოსავლის აღიარების განახლებულ მიდგომას, რომელიც უფრო მეტად უახლოვდება IFRS 15-ის პრინციპებს;
- ფინანსური ინსტრუმენტებისა და სამართლიანი ღირებულების გაზომვის შესახებ განახლებულ მითითებებს;
- კონსოლიდაციის მოდელისა და ბიზნესშეერთებების აღრიცხვის ცვლილებებს;
- დროებითი გამონაკლისის დანერგვას გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარებისთვის, რომელიც წარმოიშობა OECD-ის მეორე დონის წესების (Pillar Two Model Rules) შედეგად.

ჯგუფმა არ გამოიყენა აღნიშნული ცვლილებები წინასწარ 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური წლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული ცვლილებების შესაძლო გავლენის შეფასება, ხოლო მათი დანერგვა იგეგმება 2027 წლის 1 იანვრიდან, დადგენილი სავალდებულო ვადის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის

ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით, რომელიც მცირდება დაგროვილი ცვეთით და გაუფასურებით.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

- **არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით, რომელიც მცირდება დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურებით.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის

გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, ასევე უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწერულ დანახარჯებს.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

არამატერიალურ აქტივს გააჩნია განსაზღვრული მომსახურების ვადა

ისეთი არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადა, რომლებიც წარმოქმნილია სახელმეკრულებლო ან სხვა იურიდიული უფლებებიდან, არ უნდა აღემატებოდეს ამ სახელმეკრულებლო ან სხვა იურიდიული უფლებების ვადას, მაგრამ შესაძლოა იყოს უფრო მცირე, გამომდინარე იქედან, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს საწარმო ამ აქტივის გამოყენებას.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების ან გასვლის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გამოყენებიდან არ გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

• ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში

ძირითადი საშუალება	სასარგებლო გამოყენების ვადა
არამატერიალური აქტივი	5-10 წლამდე
მანქანა-დანადგარი	5-10 წლამდე
ოფისის აღჭურვილობა	5-10 წლამდე
სატრანსპორტო საშუალება	5-10 წლამდე
შენობა-ნაგებობა	20-50 წლამდე

• მარაგები

მარაგები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შემდგომი აღიარება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან, ამასთანავე სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

რეალიზებული ან სხვაგვარად გამოყენებული მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

მარაგების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს მიერ ხორციელდება მარაგის გაუფასურების ტესტირება.

მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება. მარაგის გაუფასურების შემთხვევაში, მარაგი უნდა შეფასდეს მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარდეს გაუფასურების ზარალი.

• **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით არსებულ სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება/ზარალში.

იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ სავაჭრო მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც ჯგუფი საქმიანობს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

• ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფის ფულადი სახსრები შედგება საღაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

• ანარიცხები და პირობით ვალდებულებები

ანარიცხი აღიარდება იმ შემთხვევაში:

ა) როდესაც ჯგუფს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად;

ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა ვიდრე არ მოხდება), რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ანარიცხი აღიარდება ვალდებულებად და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯად.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თანხა, რომლითაც ანარიცხი აღიარდება, არის იმ თანხის საუკეთესო შეფასება, რომელიც აუცილებელი იქნება ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისთვის. როდესაც ანარიცხი მოიცავს მრავალრიცხოვან ელემენტებს, ანარიცხის შეფასებული თანხა ასახავს ყველა შესაძლო შედეგის საშუალო შეწონილ სიდიდეს, რომელიც შეწონილია მათი გასვლის ალბათობებით. თუ ანარიცხი წარმოიშობა ერთი ვალდებულებიდან, კონკრეტული ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხის საუკეთესო შეფასება არის ყველაზე მეტად მოსალოდნელი ინდივიდუალური შედეგი.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა არსებითია, ანარიცხის ოდენობა იქნება იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად.

შემდგომი შეფასება

ჯგუფი ანარიცხის საპირისპიროდ ასახავს მხოლოდ იმ ხარჯებს, რისთვისაც თავდაპირველად აღიარდა ანარიცხი.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაიხედება ანარიცხები და კორექტირდება ისინი რათა მასში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით. წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირების თანხა აღიარდება მოგება/ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ანარიცხი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის თვითღირებულებაში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, ან მიმდინარე ვალდებულება, რომელიც არ აკმაყოფილებს ანარიცხის აღიარების კრიტერიუმებს.

არსებობს პირობითი ვალდებულების ორი ტიპი:

ა) სავარაუდო ვალდებულება - რომელიც წარმოიქმნება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს

ბ) მიმდინარე ვალდებულება - რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს რესურსების გასვლა, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი ან ვალდებულების სიდიდის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

• იჯარა (საოპერაციო იჯარა)

ჩვეულებრივი იჯარის დროს მიიჯარე:

მიიჯარე საიჯარო შემოსავალში აღიარებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება) მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

მიიჯარე ხარჯის სახით აღიარებს საიჯარო შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, მათ შორის, ცვეთას. იჯარით გაცემული აქტივებისთვის გამოყენებული ცვეთის პოლიტიკა იდენტური უნდა იყოს სხვა ანალოგიური აქტივებისთვის გამოყენებული ჩვეულებრივი ცვეთის პოლიტიკის.

იმის დასადგენად გაუფასურდა თუ არა იჯარით გაცემული აქტივი, მიიჯარემ უნდა იხელმძღვანელოს აქტივების გაუფასურების სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები.

ჩვეულებრივი იჯარის დროს მოიჯარე:

მოიჯარე საიჯარო გადასახდელებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება), ხარჯად აღიარებს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

• სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან მოწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან გადასახდელი თანხები. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

კრედიტორული და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

• ამონაგები

ამონაგები აღიარდება სრული შემოსავლის ან მოგება/ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება სავაჭრო ფასდათმობით, ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობით.

სრული შემოსავლის ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ამონაგები წარმოდგენილია ცალკეული კატეგორიების მიხედვით.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწვიდან მიღებული ამონაგები

მომსახურების გაწვის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწვის შედეგის საიმედოდ შეფასება და ამონაგები აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მომსახურების გაწვის შედეგის საიმედოდ შეფასება ნიშნავს, რომ კმაყოფილდებოდა ყველა შემდეგი პირობა:

- ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სამშენებლო ხელშეკრულებების შედეგად მიღებული ამონაგები

როდესაც სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ, სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება როგორც ამონაგები და ხარჯი სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შესაფასებლად საჭიროა, რომ შესაძლებელი იყოს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობის საიმედოდ შეფასება.

• ხარჯები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ხარჯების სიდიდე შეფასებულია საიმედოდ და წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც გამოწვეულია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის შედეგად, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრებზე გაცემულ განაწილებასთან.

ხარჯები მოიცავს ზარალს და ისეთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და თავიანთი შინაარსის მიხედვით მიეკუთვნებიან საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებს. ზარალი აღირიცხება ცალკე მუხლად.

საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები გაიწევა ძირითადი საქმიანობის განხორციელების პროცესში და მოიცავს: რეალიზებული საქონლის და პროდუქციის თვითღირებულებას, მიწოდების (კომერციულ ხარჯებს), საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს

არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯების წარმოიქმნება დანარჩენი (თანმდევი) საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში და მოიცავს: საკურსო სხვაობის ზარალს, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზენორმიუ დანაკარგებს, საპროცენტო ხარჯებს და ა.შ.

• გადასახადები

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ცვლილების მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის

ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში განაწილებული მოგება. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

ა) როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებით ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

ბ) დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

გაყიდვებთან დაკავშირებული წარმოებული ღირებულების დამატებითი გადასახადის აღიარება ხდება იმ მოვლენაზე, რომელიც უფრო ადრე მოხდა:

- ა) კლიენტებისგან მოთხოვნის ამოღება;
- ბ) კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება.

• **ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო). თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, ფასდება თავად ურთიერთობის შინაარსი და არამართო მისი სამართლებრივი ფორმა.

თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ. სათავე საწარმოსა და მის შვილობილ საწარმოებს შორის ურთიერთობა ფინანსურ ანგარიშგებაში აუცილებლად უნდა გამჟღავნდეს, იმის მიუხედავად, განხორციელდა თუ არა ამ დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები.

საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების მთლიანი ოდენობის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სამეურნეო ოპერაციების თანხებს;
- ბ) დაუფარავი ნაშთების თანხას;
- გ) დაუფარავ ნაშთებთან დაკავშირებულ საეჭვო ვალების ანარიცხებს; და
- დ) დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღებ უიმედო ან საეჭვო ვალებთან დაკავშირებით მოცემული პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ხარჯებს.

• საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება მანამ, სანამ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება, თუნდაც ეს მოვლენები მოხდეს მოგების ან ზარალის, ან სხვა შერჩეული ფინანსური ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ.

არსებობს ორი ტიპის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე.

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში.

• კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს ბარაქა ჯგუფის და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

იმ შემთხვევაში თუ შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან.

ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

აღიარება და შეფასება

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმო აკორექტირებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს, მათ შორის შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილ ინფორმაციას.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმო არ აკორექტირებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს.

• გუდვილი

გუდვილის თავდაპირველი აღიარება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება თვითღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება გადახდილი კომპენსაციის რეალურ ღირებულების ნამეტი თანხით შეძენილი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებაზე.

ჯგუფი ყოველწლიურად ამოწმებს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით წარმოშობილი გუდვილის გაუფასურებას. გაუფასურებაზე ტესტირების მიზნით, გუდვილი მიეკუთვნება იმ ფულადი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის

სახსრების წარმომქმნელ ერთეულებს, ან ერთეულების ჯგუფებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს მიიღებენ გაერთიანებით განპირობებული სინერგიიდან. თითოეული ერთეული ან ერთეულთა ჯგუფი, რომელსაც გუდვილი მიეკუთვნება წარმოადგენდეს შიდა მმართველობის მიზნებისათვის გუდვილის მონიტორინგის განხორციელების უდაბლეს დონეს და არ აღემატება საოპერაციო სეგმენტს.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელზეც მიეკუთვნებულია გუდვილი გაუფასურების ზარალი აღიარდება როდესაც მისი ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. გაუფასურების ზარალით ჯერ მცირდება გუდვილი, შემდეგ კი სხვა აქტივები, ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალი თითოეული აქტივის საბალანსო ღირებულების პროპორციულად. საბალანსო ღირებულების შემცირებები აისახება როგორც გაუფასურების ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გუდვილის გაუფასურების ზარალი არ კომპენსირდება.

• სასამართლო დავები

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. შეფასებები და დაშვებები

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

5. ფული და ფულადი სახსრები

ფული და ფულადი სახსრები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	32,134	22,050
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	553,626	719,362
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	89,087	327,753
სულ	674,847	1,069,165

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2024	2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,223,954	703,571
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(52,655)	(32,073)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1,829	69
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	2,644	25,705
სულ	1,175,771	697,273

7. გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გადახდილი ავანსი	2024	2023
ადგილობრივ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	346,393	1,832,177
უცხოელ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,232,105	1,771,074
ავანსად გადახდილი ხელფასი	42,849	21,956
სულ	1,621,347	3,625,207

8. მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მარაგები	2024	2023
საქონელი	1,915,686	2,040,872
ნედლეული	1,717,188	1,107,022
დაუმთავრებელი წარმოება	-	109,232
მზა პროდუქცია	240,110	174,418
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2,929	7,956
სულ	3,875,912	3,439,500

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარ ები	დასადგმე ლი მოწყობი ლობა	ოფისის აღჭურვი ლობა	კომპიუტ ერული ტექნიკა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	სულ
პირვანდელი ღირებულება 31.12.2022	5,228,399	1,709,100	638,548	533,768	15,521	24,059	95,270	202,695	302,784	8,750,143
შემოსვლა	87,671	252,773	57,207	13,482	-	263	8,053	1,190	145,438	566,077
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	(134,932)	(134,932)
პირვანდელი ღირებულება 31.12.2023	5,316,071	1,961,873	695,754	547,250	15,521	24,322	103,323	203,884	313,291	9,181,289
შემოსვლა	-	383,288	-	94,906	-	482	10,666	64,847	-	554,189
გასვლა	-	-	-	(102)	-	(2,642)	-	(1,865)	-	(4,609)
პირვანდელი ღირებულება 31.12.2024	5,316,071	2,345,160	695,754	642,054	15,521	22,162	113,989	266,866	313,291	9,730,868
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	-	91,028	65,378	118,557	2,702	9,506	32,105	15,338	57,131	391,745
დარიცხული ცვეთა	-	55,248	28,778	78,210	1,709	3,984	17,710	12,290	39,141	237,071
ცვეთის შემცირება	-	-	-	-	-	-	-	-	(21,589)	(21,589)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	-	146,276	94,156	196,768	4,411	13,490	49,815	27,627	74,683	607,227
დარიცხული ცვეთა	-	61,767	27,325	70,474	1,481	2,894	18,171	14,749	37,694	234,556
ცვეთის შემცირება	-	-	-	(102)	-	(694)	-	(136)	-	(932)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	-	208,043	121,481	267,141	5,893	15,691	67,986	42,240	112,377	840,851
										-
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022	5,228,399	1,618,072	573,170	415,210	12,819	14,553	63,165	187,357	245,653	8,358,398
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023	5,316,071	1,815,597	601,598	350,482	11,110	10,832	53,508	176,257	238,608	8,574,062
წმინდა საბალანსო ღირებულება 2024	5,316,071	2,137,117	574,273	374,913	9,629	6,471	46,003	224,626	200,914	8,890,017

10. გუდვილი

გუდვილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გუდვილი	2024	2023
ღირებულება - თავდაპირველი აღიარებისას	329,771	329,771
წლის დასაწყისში დაგროვილი ამორტიზაცია	(98,931)	(65,954)
წლის დარიცხული ამორტიზაცია	(32,977)	(32,977)
საბალანსო ღირებულება	197,863	230,840

2023 წლის ანგარიშგებაში შეცდომით გამოჩენილი იყო გუდვილის ამორტიზაციის დარიცხვა. 2024 წლის ანგარიშგებაში შესაძარის პერიოდში მოხდა აღნიშნული შეცდომის გასწორება.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები ადგილობრივი მომწოდებლების მიმართ	308,300	1,283,614
სავაჭრო ვალდებულებები უცხოელი მომწოდებლების მიმართ	11,459	1,271,002
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	25,090	23,890
სულ	344,849	2,578,506

12. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასესხო ვალდებულებები	2024	2023
გრძელვადიანი სესხი	5,023,171	3,423,577
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1,318,410	2,381,135
სულ	6,341,581	5,804,713

13. ამონაგები

ამონაგები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ამონაგები	2024	2023
საცალო რეალიზაცია	341,257	247,980
საბითუმო რეალიზაცია	26,457,382	24,991,865
სულ	26,798,639	25,239,845

14. თვითღირებულება

თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თვითღირებულება	2024	2023
ძირითადი მასალების დანახარჯები	22,228,034	22,222,761
პირდაპირი ხელფასი	244,604	215,658
ცვეთა და ამორტიზაცია	100,676	108,333
კომუნალური ხარჯები	425,432	361,217
დამხმარე მასალების დანახარჯები	154,402	118,871
სულ	23,153,148	23,026,840

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის საანგარიშებო პერიოდისათვის

15. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სხვა შემოსავალი	2024	2023
ტრანზიტით მიღებული შემოსავალი	1,940,710	-
იჯარა	35,593	35,763
სულ	1,976,303	35,763

16. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სხვა ხარჯი	2024	2023
ტრანზიტით რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1,823,234	-
სულ	1,823,234	-

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
შრომის ანაზღაურება	541,468	495,727
პროფესიული მომსახურების ხარჯი	106,268	103,268
ოფისისთვის განკუთვნილი ხარჯი	70,806	7,734
კომუნალური ხარჯები	14,965	15,900
რემონტის ხარჯი	45,947	47,021
საწვავის ხარჯი	80,118	72,013
ცვეთა და ამორტიზაცია	165,998	228,395
საექვო მოთხოვ. დაკავშირებული ხარჯები	20,582	-
სხვა საგადასახადო ხარჯი	40,171	40,370
საბანკო ხარჯები	62,478	17,649
სხვა საერთო ხარჯი	51,698	100,887
სულ	1,200,500	1,128,965

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვის ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფს არ აქვს რისკის მართვის წერილობითი ფორმით შედგენილი პოლიტიკა. თუმცა მაღალი დონის მენეჯმენტი ინარჩუნებს რისკის კონტროლს და მიზნად ისახავს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც დასწევს რისკებს, კომპანიის კონკურენტუნარიანობის დაცვისა და რისკებიდან გამომდინარე უარყოფითი გავლენის მიმართ მოქნილობის გამომუშავების მიზნით.

ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი;
 - უცხოური ვალუტის რისკი;

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და პროცესები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. ამ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლისგანაც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის რისკი არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	2024	2023
ფული და ფულის ექვივალენტები	674,847	1,069,165
სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები	1,175,771	697,273
სულ ფინანსური აქტივები	1,850,618	1,766,438
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	369,639	2,603,296
სასესხო ვალდებულებები	6,341,581	5,804,713
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,711,220	8,408,009

რეალური ღირებულებით შეფასება

ზოგიერთი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ასახულია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში საჭიროებს რეალური ღირებულებით შეფასებას.

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება მაქსიმალურად ხელმისაწვდომი საბაზრო ამოსავალი მონაცემები. ამოსავალი მონაცემები, გამოყენებული რეალური ღირებულების მაჩვენებლების განსაზღვრისას, ჯგუფდება რამდენიმე დონეზე იმაზე დაყრდნობით, თუ რამდენად დაკვირვებას დაქვემდებარებულია შეფასების მეთოდის გამოყენებული აღნიშნული მონაცემები ("რეალური ღირებულების იერარქია").

რეალური ღირებულების იერარქიას აქვს შემდეგი დონეები:

- კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი) აქტიური ბაზრებზე იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის (დონე 1);
- ამოსავალი მონაცემები, რომლებშიც მოცემულია აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (ანუ როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ანუ წარმოებული ფასებისგან) (დონე 2); და
- ამოსავალი მონაცემები იმ აქტივის ან ვალდებულებისთვის, რომელიც არ არის დაფუძნებული დაკვირვებად (ემპირიულ) საბაზრო მონაცემებზე (დონე 3).

დონე რეალური ღირებულების იერარქიაში, რომლითაც ხდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების კლასიფიცირება, განისაზღვრება ყველაზე დაბალი ამოსავალი მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს რეალური ღირებულების შეფასებისას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება მხოლოდ ერთ დონეში.

ჯგუფს არ აქვს რეალური ღირებულებით შესაფასებელი ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები, შესაბამისად ისინი არ არიან წარმოდგენილი ფასს 7-ის შესაბამისად რეალური ღირებულების შეფასების იერარქიაში. სალაროში ნაღდი ფულის რეალური ღირებულება შეიძლება განისაზღვროს შეფასების პირველი დონით, ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშებზე მისი ექვივალენტების რეალური ღირებულება - შეფასების მეორე დონით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - შეფასების მესამე დონით.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი სამართლიანი / რეალური ღირებულებისა.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დაკმაყოფილდეს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები. ჯგუფი კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმუმაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. და მასში შეაქვს კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს. ჯგუფს არ აქვს კაპიტალთან დაკავშირებით გარედან დაკისრებული შეზღუდვები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი განპირობებულია თითოეული კონტრაქტორის ინდივიდუალური მახასიათებლებით. ყველა კლიენტის კრედიტუნარიანობა ფასდება ინდივიდუალურად კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადებისა და პირობების შეთავაზებამდე.

ზოგადად, ჯგუფის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია სავაჭრო და სხვა დებიტორულ მოთხოვნებთან.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ყოველი ახალი კლიენტის გაანალიზება ხდება ინდივიდუალურად გადამხდელუნარიანობის კუთხით მანამ, სანამ შეთავაზებული იქნება გადახდისა და მიწოდების ვადები და სტანდარტული პირობები. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, ყოველთვიურად სავაჭრო დებიტორული ვალდებულებების ხანდაზმულობის ანალიზის საფუძველზე. სხვა ფინანსური აქტივები კომპანიისთვის მიეკუთვნებიან არა ვადაგადაცილებულ და არა გაუფასურებულ კატეგორიას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ასახავს კომპანიის სირთულეს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების მიწოდება. ლიკვიდურობის მართვისათვის კომპანია უზრუნველყოფს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის ქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულებების ვადაში დასაფარად.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა მართვისაგან. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე:

31.12.2024

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	369,639	-	-	369,639
მიღებული სესხები	1,318,411	4,110,671	912,500	6,341,582
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,688,050	4,110,671	912,500	6,711,221

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის საანგარიშებო პერიოდისათვის

31.12.2023

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,578,507	-	-	2,578,507
მიღებული სესხები	2,381,136	3,423,577	-	5,804,714
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,959,643	3,423,577	-	8,383,220

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე და მისი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. კომპანიის საბაზრო რისკი ძირითადად დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რაც გამომდინარეობს კომპანიის საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან ფინანსურ ინსტრუმენტებთან, ცვალებადი განაკვეთის გამო. კომპანიას აქვს სასესხო ვალდებულებები, რომლებიც აღებული საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები	USD	USD
ფული და ფულის ექვივალენტები	31,693	121,624
სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები	31,762	6,018
სულ ფინანსური აქტივები	63,455	127,642
ფინანსური ვალდებულებები	USD	USD
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	460,019
სასესხო ვალდებულებები	2,259,665	2,158,682
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,259,665	2,618,701
წმინდა სავალუტო პოზიცია	(2,196,210)	(2,491,058)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.


31.12.2024		31.12.2023	
GEL/USD		GEL/USD	
+20%	-20%	+20%	-20%
(3,660,100)	(3,660,100)	(4,460,070)	(4,460,070)
(4,392,121)	(2,928,080)	(5,352,084)	(3,568,056)
(732,020)	732,020	(892,014)	892,014

მმართველობითი ანგარიშგება

შპს ბარაქა ჯგუფი

2024

შპს „ბარაქა ჯგუფის“ ჯგუფის სტრუქტურა



საქმიანობის აღწერა და ზოგადი მიმოხილვა

შპს ბარაქა ჯგუფი (ს/კ 445583887) დაფუძნებულია 2020 წლის 4 აგვისტოს. 100%-იანი წილის მესაკუთრე ბურჰან დინდარი (პ/ნ 61091000128).

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია ქ. ბათუმი, იური გაგარინის ქ., N 2. საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 ლარს.

კომპანიის წესდების თანახმად, მისი ძირითადი საქმიანობაა საქონლის/მომსახურების საცალო-საბითუმო შეძენა/რეალიზაცია, წარმოება, ექსპორტი-იმპორტი და სხვა.

2020 წლის აგვისტოს თვიდან კომპანია ახდენს ხორბლის იმპორტს, ფქვილის წარმოებას და მის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე.

შპს ბარაქა ჯგუფს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირად დაინიშნა ბურჰან დინდარი.

საზოგადოების მართვის ორგანოებია:

- პარტნიორთა კრება - საზოგადოების მმართველობის უმაღლესი ორგანო
- დირექტორი.

ბარაქა ჯგუფს ჰყავს შვილობილი კომპანიები:

1. შპს სამ-ბათ ჯორჯია - 445472916; 100%-იანი წილის მესაკუთრე
2. შპს ბარაქა 2021 – 245541061; 100%-იანი წილის მესაკუთრე
3. შპს ბარაქა სავაჭრო ცენტრი - 445609360; 100%-იანი წილის მესაკუთრე

ჯგუფის მიზანია მოგების მღება გამჭვირვალე, სამართლიანი და ბიზნეს ეთიკაზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვის შედეგად.

შპს სამ ბათ ჯორჯია

შპს სამ-ბათ ჯორჯიას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არფასპეციალიზირებული საბითუმო ვაჭრობა. კომპანიის დირექტორია ედნარ ვარშანიძე პ/ნ 61002012630

შპს ბარაქა 2021

შპს ბარაქა 2021 კომპანიის ძირითად საქმიანობას 2020 საანგარიშგებო პერიოდის ჩათვლით წარმოადგენდა ფქვილის წარმოება. 2021 წელს ის ადარ ასრულებდა მის ძირითად საქმიანობას, შესაბამისად მისი საოპერაციო შემოსავლები განულებულია. კომპანიის ღირებულება ბურჰან დინდარი, 61091000128.

შპს ბარაქა სავაჭრო ცენტრი

შპს ბარაქა სავაჭრო ცენტრის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არფასპეციალიზირებული საბითუმო ვაჭრობა. კომპანიის ღირებულება ედნარ ვარშანიძე, 61002012630.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ადამიანური რესურსების განყოფილებისათვის დასმულ მთავარ დავალებას წარმოადგენს კომპანიაში სამუშაო გარემოს მუდმივი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა.


კომპანია აფართოებს თავის საქმიანობას და თანამედროვე დანადგარებით და პერიოდულად ანახლებს ტექნიკას და მანქანა დანადგარებს ხარისხი აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

ყოველწლიურად ჩვენი კომპანიის შემოსავლები და ბრუნვა არის მზარდი და სამომავლოდან ვფიქრობთ რომ კიდევ უფრო მეტად გაიზრდება გაყიდვების მოცულობა.

კომპანიის მიერ წარმოებული ფქვილის რეალიზაცია ხდება როგორც საბითუმოდ, ისე საცალოდ.


კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის შემოსავლებმა ფქვილის წარმოებიდან 2024 წელს შეადგინა 23,562,595 ლარი. თვეების მიხედვით შემოსავალი განაწილებულია შემდეგნაირად:



წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით, საოპერაციო შემოსავალი (ფქვილის რეალიზაცია) წარმოდგენილია შემდეგნაირად:

წლიური საოპერაციო შემოსავლების დინამიკა



კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 2020 წლის აგვისტოს თვიდან. დაფუძნების დღიდან აიღო სრავი სტარტი და მალევე მიაღწია მაღალი შემოსავლის მაჩვენებელს.

იმის გათვალისწინებით, საქმიანობის მნიშვნელოვანი კოეფიციენტები გამოიყურება შემდეგნაირად:

პერიოდი	2024	2023	2022
მიმდინარე აქტივები	4,652,013	6,482,235	6,848,240
მიმდინარე ვალდებულებები	5,677,025	9,621,697	9,251,672
მიმდინარე ლიკვიდობა	82%	67%	74%

პერიოდი	2024	2023	2022
მიმდინარე აქტივები (მარაგის გამოკლებით)	2,693,712	5,056,947	3,289,771
მიმდინარე ვალდებულებები	5,677,025	9,621,697	9,251,672
სწრაფი ლიკვიდობა	47%	53%	36%

პერიოდი	2024	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	902,863	417,096	649,756
შემოსავლი	21,586,292	18,318,787	23,049,044
დებიტორული დავალიანების ბრუნვა (კოეფიციენტი)	4%	2%	3%

პერიოდი	2024	2023	2022
საოპერაციო მოგება/ (ზარალი)	2,276,398	872,563	862,747
შემოსავლი	21,586,292	18,318,787	23,049,044
მთლიანი სრული შემოსავლის/ (ზარალის) კოეფიციენტი	11%	5%	4%

პერიოდი	2024	2023	2022
წმინდა მოგება (ზარალი)	1216364	665,649	1,975,154
შემოსავლი	21,586,292	18,318,787	23,049,044
წმინდა მოგების (ზარალის) კოეფიციენტი	6%	4%	9%

ვითარება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე


ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის თარიღისთვის კომპანიაში შეინიშნება საოპერაციო შემოსავლების (ფქვილის წარმოება/მიწოდება) კლება, რაც ადგილობრივი ბაზრისა და მთავარი იმპორტიორის, კერძოდ რუსეთის მხრიდან დაწესებული ბაჟითაა განპირობებული.

ხორბლის სასურსათო ბალანსი - 2024 წლის მონაცემებით გამოიყურება შემდეგნაირად:




წყარო: <https://agriculture.geostat.ge/food-balance>

ხოლო ხორბლის წარმოების დინამიკა იხილეთ ქვემოთ:



წყარო: <https://agriculture.geostat.ge/food-balance>

იხილეთ ხორბლის იმპორტისა და ექსპორტის შედარება:



წყარო: <https://agriculture.geostat.ge/food-balance>

2024 წელს საქართველომ ხორბალი სულ 6 ქვეყნიდან შეიძინა, საიდანაც მთავარი ბაზარი რუსეთი იყო. იმპორტის 98% სწორედ ამ ქვეყანაზე მოდის. საიმპორტო ქვეყნების რეიტინგი კი ასეთია:

იმპორტიორი ქვეყანა	თანხა (USD)	რაოდენობა (ტონა)
რუსეთი	10,100,000	41,381
თურქეთი	605,390	1,109
იტალია	220,320	199
ლიეტუვა	49,650	125
საფრანგეთი	36,640	31
ავსტრია	16,690	20

რისკების შეფასება

ჯგუფის სავალუტო რისკები ძირითადად დაზღვეულია კონტრაქტებით, რომლებშიც დაფიქსირებული ფასი მიბმულია უცხოური ვალუტის კურსზე.

კომპანიაში სესხების გადაუხდელობის რისკი არ დგას. სხვა რისკებს, რომლებმაც შესაძლოა შეზღუდონ კომპანიის მუშაობა უახლოეს პერიოდში, ვერ ვხედავთ.

გარემოსდაცვითი ღონისძიებები

მუდმივად ვთანამშრომლობთ გარემოს დაცვის და შრომის უსაფრთხოების ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომელებიც გვაწვდიან რეკომენდაციებს.

გარდა ამისა, შტატში აყვანილია უსაფრთხოების სამსახურის დიპლომირებული თანამშრომელი, რომელიც აკონტროლებს წარმოებაში შრომის უსაფრთხოების ნორმებს.

ბაზრის კვლევა და შეფასება

ჯგუფი მუდმივად ატარებს საბაზრო კვლევებს მარცვლეულის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ვითარების შესახებ. აღნიშნული კვლევებისგან მიღებული ინფორმაცია მენეჯმენტს ეხმარება სწორი ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებაში. მენეჯმენტი გადის კონსულტაციას როგორც მომწოდებლებთან, ასევე მომხმარებელთანაც, განიხილება ყველა რჩევა და შენიშვნა.

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ახდენს ზემოხსენებულ რისკებზე დაკვირვებას და ანალიზს, რათა მცირე რისკის წარმოშობის შემთხვევაში მოახდინოს მყისიერი რეაგირება.

ამ ეტაპზე კომპანიას არ აქვს სასამართლო დავები. სახელისუფლო ორგანოებთან რაიმე სახის უთანხმოებები არ არსებობს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

იმედა ზაქარაძე

მთ. ბუღალტერი:

ლელა ლომთათიძე

ბაზრის კვლევა და შეფასება

ჯგუფი მუდმივად ატარებს საბაზრო კვლევებს მარცვლეულის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ვითარების შესახებ. აღნიშნული კვლევებისგან მიღებული ინფორმაცია მენეჯმენტს ეხმარება სწორი ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებაში. მენეჯმენტი გადის კონსულტაციას როგორც მომწოდებლებთან, ასევე მომხმარებელთანაც, განიხილება ყველა რჩევა და შენიშვნა.

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ახდენს ზემოხსენებულ რისკებზე დაკვირვებას და ანალიზს, რათა მცირე რისკის წარმოშობის შემთხვევაში მოახდინოს მყისიერი რეაგირება.

ამ ეტაპზე კომპანიას არ აქვს სასამართლო დავები. სახელისუფლო ორგანოებთან რაიმე სახის უთანხმოებები არ არსებობს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



იმედა ზაქარაძე

ლელა ლომთათიძე